ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 4 (236) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 27 თებერვალი

ლადო ასათიანი

ჩემი ქვეყნის ოქროყანა

ჩემი ქვეყნის ოქროყანავ, დიდი გარჯით მოწეულო,
სიწითლისგან დაბრაწულო, კანდამსკდარო ბროწეულო,
ნაცრისფერო ღრუბლის ძნებო, ფიჩვის ტევრში გარეულო
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო,
ცხენისწყალის ხეობაო, დაღარულო, დასერილო,
ხოვიანო პურის ყანავ, გლეხის ხელით დაწერილო,
ალის მთაზე გადასულო თეთრო ნისლო აფრიანო,
თუ თეთრი ბაირაღი, სანამ უნდა აფრიალო?!
ერთო ქალო, თეთრო ქალო, ქალო ბაგეთაფლიანო,
თვთავებით ოქროსფერად მოსირმულო მთავ ფრიალო,
მთებო, მთებო, რუხო მთებო, ნისლების თავსაფრიანნო,
ვარო, ზვარო ჯიშიანო, ოჯალეშის ჯიშის ზვარო,
ზვარო მტევნებგიშრიანო, გლეხი კაცის სანუკვარო,
ფიჩვის ტყეო, ფიჩვის ტყეო, ნისლები რომ იტვირთეო,
ნისლის ნამში განბანილო, მთაო გულმკერდგადაშლილო,
მთის გულ-მკერდში დამალულო ოქრო, ვერცხლო,
ქვანახშირო,
საქართველოს სიხარულო — ცხენისწყალო და ენგურო,
და მაწულის სიყვარულო, ხალხის გულში დანერგილო,
მშობლიურო მინდორ-ველო, სიცოცხლეო საამურო,
მწვერვალებზე ანამღერო მწყემსი ბიჭის სალამურო,
მოსავალო ჭირნახულო, ღილის ცვარით დანამულო
და ბულბულო, ხმაწკრიალავ, ბუჩქნარებში განაბულო,
თვითმფრინავო ცაში ლაღო, მთებთან ახლო მოფრენილო,
ქვევით ქვეყნის ედემ-ბაღო, ია-ვარდით მოფენილო,
კვახის ლერწო გაბარდულო, ჩაქარეულო ტაროებო,
მიწის მკერდზე გაფანტულო ღელეებო, წყაროებო,
შემოდგომავ შემოქმედო, შემოდგომავ მადიანო,
მტერმა განახოს, შემოგხედოს, გული დაუდარდიანო.
ცხენისწყალის სანაპიროვ და ღამეო მთვარიანო,
ამდენი ხნის დანაპირო — გოგონავ შავთვალიანო,
აქოჩრილო რთხმელის ტყეო, ბარდებო და იელებო,
მეგობრებო, მეზობლებო, ახოვანო ჯეელებო,
ბედნიერი ხალხის გარჯავ, გმირობის და ძმობის ყანავ, —
იძლიეროს მისმა მაჯამ, ვინც დაგთესა, მოგიყვანა!
ჭირნახულით დატვირთულო ბეღლებო და ნალიებო,
გამრჯელისთვის გატენილო, უქნარისთვის ცარიელო,
ხეო, ვაშლით გაფერილო, ტალავერის ჩეროებო,
სამხრეთისკენ გაფრენილო ყელმოღერა წეროებო,
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო,
ნაცრისფერო ღრუბლის ძნებო, ფიჩვის ტევრში გარეულო,
ვარდებო და ყვავილებო, ბარდებო და იელებო,
ახოვანო ვაჟკაცებო, უშიშარო ჯეელებო,
კოლხელებო, ქართლელებო, კახელებო, მთიელებო, —
თქვენთვის მინდა ავამღერო ლექსი ჩემი ახლებური,
თქვენთვისა მაქვს გულის კარი სასიმღეროდ გაღებული,
მინდა ლექსით გესაუბროთ, დაგირხიოთ ხმა სალხენო
და ქართველი მგოსნის ჩანგი ამ სიმღერით ვასახელო!



ორი დღის წინათ, 25 თებერვალს შესრულდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 49 წელი. წარმატებებზე, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა, გვესაუბრება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ქოჭენიძე (იხილეთ მე-2 გვერდი).




(ზედა ფოტოზე თვითონ)

ისწავლე ომობა — ომობის ჟამს

გაზაფხულის კვირტები

ვიქტორ კიკვაძის ფოტო.

საბჭოთა საქართველოს 49 წელი



გიორგი ძოწენიძე

აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

□

ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითია. ამის მოწმეა მატიანეთა ფერგადასული ფურცლები, კლდეებში გამოკვეთილი ციხე-ქალაქები, საუკუნეთა სიმძიმეს შეჭიდებული ციხე-სიმაგრენი, ათასჯერ გადამწვარი და ისევ შეფოთლილი ტყეები... საქართველოს მიწის ყოველი მტკაველი გაჟღენთილია წინაპართა ოფლითა და სისხლით, რომელთაც მრავალ ქარტეხილს გადმოატარეს და შეგვინარჩუნეს თავისუფლება, კულტურა, ენა...

რა იყო საქართველო სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინათ? ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა, სადაც ჩაგვრა და უსამართლობა იყო გაბატონებული, იდევნებოდა ქართული ენა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველომ ახალი ცხოვრება დაიწყო. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების დღე ქართველი ხალხის ბედის დიადი გარდატეხის დღე გახდა. მშრომელმა კაცმა მხრები გაშალა, თავისუფლად ამოისუნთქა.

1913 წელს საქართველოში 200-მდე წყრილი, კუსტარული სამრეწველო საწარმო არსებობდა, სადაც 10 ათასამდე კაცი მუშაობდა. დღეს საქართველო მაღალგანვითარებული მძიმე ინდუსტრიის, მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის ქვეყანაა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენში აშენდა მრეწველობის ისეთი გიგანტები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული, თბილისის ჩარხსაშენებელი, ჭუთაისის საავტომობილო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, თბილისის ელმავალსაშენებელი, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი და მრავალი სხვა ქარხანა, ახლა რესპუბლიკის ელექტროსადგურები ყოველდღიურად იმდენ ენერგიას იძლევიან, რამდენსაც რევოლუციამდე მთელი წლის მანძილზე იძლეოდნენ. საქართველო ყოველწლიურად უშვებს 10 ათასზე მეტ საბარგო მანქანას, მილიონობით ტონა მანგანუმს, თუჯს, ფოლადს, 13 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს, 10 მილიონამდე დეკალიტრ ღვინოს, 60 მილიონ მეტრ ბამბეულს, 5 მილიონი მეტრი შალისა და 20 მილიონი მეტრი აბრეშუმის ქსოვილს... მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში იგზავნება საქართველოს სამრეწველო პროდუქცია და უველგან დიდი მოწონებით სარგებლობს.

არნახული ნაბიჯებით წაიკიდა წინ სოფლის მეურნეობაც. შეიქმნა ახალი დარგები — მეჩაიეობა, მეციტრუსეობა. ფართოდ განვითარდა თამბაქოს, დაფნის, ტუნგოს კულტურა. ჩაის პლანტაციები 60 ათასზე მეტ ჰექტარზეა გადაჭიმული. ციტრუსები — 12 ათას ჰექტარზე: თუ 1920 წელს ზვრებს 36 ათასი ჰექტარი ფართობი ეჭირა, ახლა ვაზი 110 ათას ჰექტარზე ხარობს.

მეჩაიეთა მძიმე შრომა საგრძნობლად შეამსუბუქა ჩაის საკრეფმა მანქანა „საქართველომ“, რომელიც ქართველმა ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა შექმნეს. გამომგონებელთა ღვაწლი დიდი ჯილდოთი — ლენინური პრემიით აღინიშნა.

ახლა „საქართველოს“ თითქმის ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ნახავთ.

ქართველი კაცის უაღრესად დიდ შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს დროშას ლენინის ორი ორდენი ამშვენებს.

ასეთი წარმატებები წარმოუდგენელია საკუთარი, ეროვნული კადრების გარეშე.

1914 წელს საქართველოში 1.700-მდე სკოლა იყო 130 ათასი მოსწავლით. აქედან 126 ათასი დაწყებით სკოლებში სწავლობდა. მასწავლებელთა რაოდენობა 5.900 კაცს აღწევდა. ბიბლიოთეკებს თითებზე თუ ჩამოითვლიდით.

ახლა 5.000-ზე მეტ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 970 ათასი მოწაფე სწავლობს და 75 ათასამდე მასწავლებელი მუშაობს. ყოველ ათას სულზე 15 პედაგოგი მოდის. ყოველწლიურად 5 მილიონზე მეტი ტირაჟით 135 დასახელების სასკოლო სახელმძღვანელო გამოდის, აქედან 70 პროცენტი ორიგინალურია. ათასობით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 50 მილიონს აღემატება. სოფლები და ქალაქები დასერილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით — კლუბებით, სამკითხველოებით, თეატრებით, კინოდარბაზებით...

18 უმაღლეს სასწავლებელში 90 ათასი სტუდენტი ეუფლება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგს; ყოველ 1.000 სულ მოსახლეზე 45 უმაღლესდამთავრებული მოდის. გვეამაყება, რომ უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობით საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ეს აოცებთ კაპიტალისტური სამყაროს განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებსაც. ვენის უნივერსიტეტი 1358 წლიდან არსებობს, თბილისისამ კი ამ ცოტა ხნის წინათ იზეიმა დაბადების 50 წელი. მიუხედავად ამისა, საქართველოში სტუმრად მყოფმა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა დოქტორმა იოზეფ კლაუსმა განაცხადა: — განცვიფრებული ვარ, რომ თქვენს პატარა ქვეყანაში ამდენი სპეციალისტი და ასე ბევრი უმაღლესი სასწავლებელია. ვფიქრობ, ამ მხრივ თქვენგან უნდა ვისწავლოთო.

1941 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც დაარსების დღიდან ჩვენი სახიქადულო მეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი უდგას სათავეში. თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, ჩვენს აკადემიას მსოფლიო სახელი აქვს მოხვეჭილი. თუ ჩამოუალიებისას იგი 14 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას აერთიანებდა, ახლა ტექნიკის უახლესი სიტყვით აღჭურვილ 38 დაწესებულებას ითვლის. ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებმა და აღმოჩენებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. აკადემიის დაწესებულებებში მუშაობს 65 ნამდვილი წევრი და 47 წევრ-კორესპონდენტი. ბევრი მათგანი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, აგრეთვე საზღვარგარეთის აკადემიებისა და სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების ნამდვილი წევრი ან წევრ-კორესპონდენტია. ფართოდ არის ცნობილი ქართული მათემატიკური, ფიზიოლოგიური, გეოლოგიური და სხვა სკოლები.

შესანიშნავი გზა გაიარა ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ქართული ეროვნული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის მრავალი ნაწარმოები შესულია საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში. ჩვენმა ხელოვნებამ ფართოდ გაითქვა სახელი არა მარტო საბჭოთა კავშირში. არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაშიც.

დიდი ღონისძიებები ხორციელდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას 17 ათასამდე ექიმი და 37 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი. ყოველ 10.000 კაცზე 36 ექიმი მოდის, გაცილებით მეტი, ვიდრე მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც გნებავთ.



თბილისი, ლენინის მოედანი.

გონდო დადვაძის ფოტო.

ყოველდღიურად მშვენდება საბჭოთა საქართველო, სახე იცვალა მისმა ჭალარა და მუდამ ახალგაზრდა დედაქალაქმა. აიგო მრავალი შესანიშნავი შენობა, გაშენდა ახალი საცხოვრებელი კვარტალები. თბილისის მშვენებაა სულ ახალგაზრდა მეტროპოლიტენი, მალლივი სასტუმრო „ივერია“, სპორტის სასახლე, მალე დამთავრდება ფილარმონიის უზარმაზარი შენობა... ფართოდ გაშალეს ფრთები რესპუბლიკის სხვა ქალაქებმა და სოფლებმაც.

აშენდა და კეთილმოეწყო ბევრი კურორტი, სადაც მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ათასობით მშრომელი ისვენებს და მკურნალობს.

უველა ეს სიკეთე მშრომელი კაცის მარჯვენამ, მისმა ნიჭმა და გონებამ შექმნა. ისტორიულად მრავალტანჯულ, განუწყვეტელი ომებითა და თარეშით განწამებ ქართველ ერს, დღეს საბჭოების ერთიან ძმურ ოჯახში მშვიდობიანი ცხოვრების, შრომისა და შემოქმედების უველა პირობა აქვს შექმნილი. ქართველი კაცი კმაყოფილია თავისი ბედით, კმაყოფილია, რადგან იგი ქმნის თავისი ერისათვის, საზოგადოებისათვის, შთამომავლობისათვის.

ვინდა წერილი დიდი ვაჟას სიტყვებით დავამთავრო: „რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილ-გონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას“.

XXVIII კომკავშირული

შუშინ, 26 თებერვალს, თბილისში, უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XXVIII ყრილობა.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობამ ყრილობაზე წარგზავნა ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით ასახელეს დედა სამშობლო, დაიმსახურეს საყოველთაო ნდობა და სიყვარული. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ ახალგაზრდა მევენახეები და მეჩაიეები, ინჟინრები და პედაგოგები, ექიმები და ხელოვნების დარგის მუშაკები...

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი როინ მეტრეველი. მომხსენებელმა და ყრილობის დელეგატებმა ილაპარაკეს ახალგაზრდობის მიღწევებზე. აღნიშნეს ქართველი ქალიშვილებისა და ჭაბუკების დიდი წვლილი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ახალგაზრდები ენთუზიაზმით ეჭიდებიან ყველა საქმეს და იმარჯვებენ. ამის მაგალითია კომკავშირელთა სამაგალითო შრომა ენგურჰესის მშენებლობაზე.

ბევრი კარგი ითქვა სამშობლოს საიმედო მომავალზე — მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაზე.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

თბილისი — პალერმო

რამდენიმე დღეა სიცილიის საოლქო ცენტრის ქალაქ პალერმოს მუნიციპალიტეტის მიწვევით იტალიაში საპასუხო ვიზიტით სტუმრად იმყოფება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დელეგაცია, საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის შოთა ბუხრაშვილის მეთაურობით.

ეს მიწვევა დაემთხვა პალერმოში „საბჭოთა კავშირის კვირეულის“ დღეებს, რომელიც „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების ინიციატივით ვლადიმერ ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება.

დელეგაციასთან ერთად სიცილიაში არიან ოპერის სოლისტი ლამარა ჩყონია, ახალგაზრდა პიანისტი, ლისაბონის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ნინო ჭირაქაძე, თვითმოქმედი ანსამბლები „სალაღობო“ და „შვიდკაცა“, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები. მეგობრობის დღეებში პალერმოში გაიხსნა ფოტოგამოფენა „საბჭოთა საქართველო“. ჩანაწერებით სიცილიელებმა მოისმინეს ოპერები „დაისი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ქართული ხალხური სიმღერები, სიმფონიური და საესტრადო მუსიკა.

ეკრანებზე გადის დოკუმენტური ფილმები თბილისზე და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პორწიელი“.

საქართველოს დელეგაცია, რომელსაც შოთა ბუხრაშვილი ხელმძღვანელობს, შეხვდა პალერმოს მუნიციპალიტეტის წევრებს ქალაქის მერის სპანიოლოს მეთაურობით. დელეგაციები შეთანხმდნენ ორი ქალაქის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე.

ფორე მოსულიშვილი — იტალიის ეროვნული გმირი



ლეგენდად დაბრუნებული

CAMERA DEI DEPUTATI — PRO-MEMORIA

Il Governo italiano è intenzionato di concedere la "medaglia d'oro al valore militare" massima ricompensa italiana a un Partigiano georgiano il quale, presentandosi alle formazioni partigiane dichiarò di chiamarsi

MUSOLISCRIVILI Pore e di ricoprire il grado di maresciallo.

Altre notizie utili per la identificazione:

- si presentò alle formazioni partigiane operanti sul Lago Maggiore in provincia di Novara, disertando con altri georgiani del presidio di Arona, ai primi di settembre del 1944.

„...მარმარილოს საფლავის ქვაზე ოქროს ასოებით იყო ამოკვეთილი: — ოქროს მედალი, ფედორ ალექსანდრ პოეტანი (ფედორ). კანტალუპო, ლიგურია, 2/2 1945.

ოქროს მედალი — იტალიის წინააღმდეგობის უმაღლესი და საპატიო ჯილდო. საკმარისია ითქვას, რომ იტალიაში გენერალი ვალდებულია პირველი მიესალმოს ჯარისკაცს, რომელიც ოქროს მედალს ატარებს. ეს ჯილდო მინიჭებული აქვს ძალზე ცოტას, და მათ შორის არ არის არც ერთი უცხოელი. კაცი, რომელიც ამ საფლავში იწვა, იტალიის ეროვნული გმირი იყო“.

გამოჩენილი საბჭოთა მწერლის, ლენინური პრემიის ლაურეატის სერგი სმირნოვის ამ სიტყვებში პატარა კორექტივი უნდა შევიტანოთ: — არის კიდევ ერთი უცხოელი, რომელიც ისევე, როგორც ლეგენდარული თედორე პოლეტაევი, სიკვდილის შემდეგ იტალიის ეროვნული გმირის მეტად საპატიო წოდებას ეზიარა!

...ამ რამდენიმე თვის წინათ იტალიიდან ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა მოვიდა:

— ფაშისტ დამპყრობთაგან იტალიის განთავისუფლებაში გამოჩენილი განსაკუთრებული ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის იტალიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო „წინააღმდეგობის ოქროს მედალი“ მიენიჭა თქვენი მიწის ხამაყო შვილს, ქართველ პარტიზანს ფორე მოსულიშვილს, რომლის შესახებაც ცნობილია შემდეგი:

— სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად 1944 წლის სექტემბერში გაიქცა არონის ფაშისტური ბანაკიდან;

— გარეგნულად იყო მაღალი, მოსული ვაჟკაცი;

— დაღუპვამდე (1944 წლის 3 დეკემბერი) ირიცხებოდა ლაგო მაჯორეს (ნოვარას რაიონი) პარტიზანულ რაზმში...

ბარათს ხელს აწერს იტალიაში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი, ამჟამად იტალიის პარლამენტის დეპუტატი ერალდო გასტონე (პარტიზანული მეგობარი — ჩირო).

მაინც რა გააკეთა ასეთი ჩვენმა თანამემამულემ?

იმავე ერალდო გასტონეს ბარათიდან და სხვა წყაროებიდან ირკვევა შემდეგი:

1944 წლის სექტემბერში ფორე მოსულიშვილი, ფაშისტების ტყვეობიდან გაქცეულ სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად, ლაგო მაჯორეს პარტიზანულ რაზმში ჩაირიცხა. სულ მალე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და საზრიანობისათვის, იგი პარტიზანთა რაზმის მეთაურის თანაშემწედ დანიშნეს.

1944 წლის დამლევს გერმანელები განსაკუთრებით აქტიურდებიან და მრავალრიცხოვან დარტყმას აყენებენ მატაროლეს რაიონის პარტიზანებს. მტრის ჭარბი ძალების მიუხედავად, მამაცი პარტიზანები თავს გააფთრებით იცავენ და მოწინააღმდეგეს ძლიერი ცეცხლით უპასუხებენ.

3 დეკემბერს დილით პარტიზანთა რაზმი, რომელშიც ფორე მოსულიშვილი იბრძოდა, ბილჯირანტესთან ახლოს, მერძევეობის ერთ-ერთ ფერმაში ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. უთანასწორო ბრძოლამ ბევრი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა. გერმანელები შენობას განუწყვეტლივ უშენდნენ ცეცხლს და თან რაზმის მეთაურისა და რამდენიმე მებრძოლი ამხანაგის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მძიმედ დაჭრილმა ქართველმა პარტიზანმა ფორე მოსულიშვილმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და გერმანელებისაკენ გაემართა. როგორც კი შენობის ზღურბლს გადააბიჯა, უშიშრად განაცხადა: რაზმის მეთაური მე ვარ, მაგრამ თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნიაო. ამ სიტყვებთან ერთად ვაჟკაცმა რევოლვერი იძრო და უკანასკნელი ტყვია საფეთქელში დაიხალა. ერთი კი შესძახა — გაუმარჯოს პარტიზანებსო და სამუდამოდ დახუჭა თვალი.

ეს იყო ნამდვილი გმირობა, მეთაურის, ამხანაგების სიცოცხლისათვის თავის განწირვა. ფორე მოსულიშვილის კეთილშობილი მისია ჟურნალისტმა ედვარდ სიხარულიძემ ითავა. იგი გმირის კვალს აედევნა და საგულდაგულო ძიების შემდეგ სასურველ შედეგებსაც მიაღწია.

ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილი დაიბადა 1916 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. იქვე მიიღო არასრული საშუალო განათლება. მრავალსულიანი ოჯახი ხელმოკლეობას განიცდიდა და ფორე ადრიდანვე შეუდგა შრომითს საქმიანობას. მუშაობდა კოლმეურნეობაში.

ალალი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა კოლმეურნეობამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გაგზავნა სასწავლებლად. 1939 წლის გაზაფხულზე, ტექნიკუმის დამთავრებიდან მესამე დღეს, ახალგაზრდა სპეციალისტი წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს.

ფორეს უკანასკნელი წერილი ბალტიისპირეთიდან 1941 წლის მაისში მოვიდა. შემდეგ ყველაფერი ომის ქარცეცხლში გაქრა, უფროსი ძმა გოგი და მომდევნო — ზაქარიაც სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ. ოჯახში მოხუცი დედ-მამა და უმცროსი ვაჟი ვასილი დარჩნენ (ამ დროისათვის ოჯახის უფროსი ქალიშვილები — მარო და ელო გათხოვილები იყვნენ და მეზობელ სოფლებში ცხოვრობდნენ).

1943 წელს მამა გარდაიცვალა. ოჯახის შენახვის მთელი სიმძიმე დედას — თებრონ დაუწვა. სამშობლო განსაცდელში იყო და აბა, პირად გაჭირვებაზე სიტყვას როგორ დაძრაედა. გამხნეებდა პირველ რიგში მას სჭირდებოდა, მაგრამ თვითონ იქცა სხვების იმედად. კოლმეურნეობის ზვრებსა თუ ოჯახში ჯარასავით ტრიალებდა.

გადიოდა წლები. ომი დამთავრდა. ქვეყანამ ჭრილობები მოიშუშა. მოსულიშვილების ოჯახში ორჯერ გაიშალა ლხინის სუფრა. ორი ვაჟკაცის დაბრუნებამ სიძარული და იმედით აავსო დედის გული. — მესამეც დაბრუნდება, მესამეც! ღმერთი სამებით არისო.

ის ბიჭიც რომ დაბრუნდეს, ჩემზე ბედნიერი ამქვეყნად არავინ იქნებაო, ხშირად უთქვამს თებრონს. 6 შვილის, 11 შვილიშვილის, 9 შვილისშვილის შვილის პატრონს ბედის სამდურავი როგორ მეთქმისო...

ლოდინსა და იმედში 30 წელი წადგა გაიარა, 80 წელს მიღწეული ქალი კვლავ სოფლის შარაგზას გაჰყურებდა...

ამ ერთი თვის წინათ გაზეთმა „კომუნისტმა“ მთელ ქვეყანას ამცნო ფორე მოსულიშვილის გმირობა. დედამ ირწმუნა შვილის სიკვდილი. 30 წლის დაგუბებული ცრემლი აფრქვია მის სურათს. შემდეგ შორეული იტალიის მთებში მწოლიარე ვაჟკაცს მეორე საფლავიც გაუჩითა მამა-პაპათა სასაფლაოზე და ახლა მარმარილოზე ამოკვეთილ სურათს დასტირის...

უსაზღვროა დედის მწუხარება, მაგრამ გმირის მშობელს ნუგეში არასოდეს მოაკლდება. ყველა პატიოსანი ადამიანი ხმას მიაწვდენს და მანდილს დაულოცავს დედას, რომელმაც სამშობლოს ასეთი ვაჟკაცი აღუზარდა.

ვახტანგ ესვანჯია

იტალიიდან დანაგარები

შარშან იტალიაში მოგზაურობის დროს ბევრი ყოფილი პარტიზანი, მათ შორის პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ამჟამად იტალიის პარლამენტის დეპუტატი ერალდო გასტონე გავიცანი. მათგან გავიგე პირველად ფორე მოსულიშვილის ამბავი.

უნდა გენახათ, რა აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ ჩვენი თანამემამულის გმირობაზე, მის მამაცობასა და გამბედაობაზე. ასეთ გმირებს, — ამბობდა ერალდო, — უკვდავების ძეგლი უნდა დავუდგათო.

გამომშვიდობებისას მთხოვეს დავხმარებოდი ფორე მოსულიშვილის ვინაობის დადგენაში და გადამეცა მისი მშობლებისათვის, თუ ისინი ცოცხლები აღმოჩნდებოდნენ, იტალიელ ყოფილ პარტიზანთა უღრმესი მადლობა გმირი შვილის აღზრდისათვის.

ჯულიეტა გობრიჩიანი

დიდება გმირს!

სხვანაირად არც შეიძლებოდა. ჩვენი სოფლის კაცი, კაცი რომელიც კახეთის მადლიან მიწაზე გაიზარდა, მტერს როგორ შეურიგდებოდა, მეგობარს როგორ უღალატებდა, სამშობლოსათვის თავს როგორ არ დადებდა! დიდი თუ პატარა, მთელი სოფელი ამაყობს ფორე მოსულიშვილის სახელით.

დიდება გმირს! მისი ხსოვნა უკვდავი იქნება. პიონერებმა სკოლის საუკეთესო რაზმს უკვე უწოდეს გმირის სახელი. მალე სოფლის კულტურის სახლიც მისი სახელობისა იქნება.

ჩვენგან დიდი ხნის წინათ წასული, ლეგენდად დაგვიბრუნდა, ლეგენდად, რომელიც თაობიდან თაობაში გადავა და ხალხი არასოდეს დავიწყებს.

გურამ შანშაშვილი,
სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

გურამ ჭუჭულაშვილი,
სოფლის საბჭოს თავმჯდომარე.

სურათებზე: ზევიდან — ფორე მოსულიშვილის უკანასკნელი ფოტო, გადაღებული ჭალაჭ ტურინში 1944 წელს პიტლერელთა ბანაკიდან გაქცევის შემდეგ. როგორც რელიკვიას, 26 წელი გულმოდგინედ ინახავდა მას ფორეს თანაბრძოლი, ყოფილი იტალიელი პარტიზანი ისაკ ძამწაშვილი.

● ფორე მოსულიშვილის გმირობისა და „წინააღმდეგობის ოქროს მედლით“ დაჯილდოების შესახებ იტალიიდან მოსული ცნობის ასლი.

● შვილის სიკვდილი რომ ირწმუნა, მოხუცმა დედამ გმირის სურათს პირველად აუნთო სანთლები.

ოთარ თურაშვილის და გონდო დადვაძის ფოტო.



იტალია არ ივიწყებს

ფორე მოსულიშვილზე იტალიურ პრესაში ბევრი დაწერილა. გთავაზობთ მოკლე ანოტაციებს ორი წიგნიდან, რომლებშიც ჩვენი თანამემამულის გმირობის ამბავია მოთხრობილი.

● იტალია არ ივიწყებს ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ მისი განთავისუფლებისათვის — ასეთია დედააზრი პიეტრო სეკიას და ჩინო მოსკატელის წიგნისა „მონტე როზა მილანში დაეშვა“. წიგნის ავტორები იტალიის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი არიან. ისინი მეორე მსოფლიო ომის წლებში სათავეში ედგნენ ჩრდილოეთ იტალიაში პარტიზანულ მოძრაობას.

წიგნში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ადგილები, სადაც ლაპარაკია ქართველ პარტიზანებზე. ერთ-ერთ თავში, რომელსაც „ზამთრის სადამსჯელო ოპერაციები“ ეწოდება, დაწვრილებით არის აღწერილი ფორე მოსულიშვილის გმირობა, რომელმაც ტყვედ ჩავარდნას საკუთარი ხელით სიკვდილი არჩია.

„გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს პარტიზანებს!“ — ასეთი სიტყვებით დაამთავრა სიცოცხლე ქართველმა ვაჟკაცმა, იტალია არ დაივიწყებს ქართველი ვაჟკაცის გმირობას“ — წერენ ავტორები.

წიგნი გამოცემულია იტალიაში 1961 წელს გამომცემლობა „ეინაუდის“ მიერ.

● „ფორე მოსულიშვილის მსხვერპლი“ — ასეთი სათაური აქვს იტალიელი მკითხველისათვის კარგად ნაცნობი წიგნის — „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში“ — ერთ-ერთ თავს. წიგნის ავტორი მაურო გალენი მოგვითხრობს საბჭოთა მეომრებზე, რომლებიც სამამულო ომის წლებში პარტიზანულ შენაერთებში იბრძოდნენ და ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებაში. სხვა საბჭოთა მებრძოლებთან ერთად, წიგნში აღწერილია ბევრი ქართველი მეომრის თავდადება, რომელთა შორის განსაკუთრებით კოლორიტულია ფორე მოსულიშვილის სახე. მაურო გალენი დაწვრილებით აცნობს მკითხველებს იმ საბრძოლო ეპიზოდს, როდესაც ქართველი ვაჟკაცი გმირული სიკვდილით დაეცა.

წერილი პარიზიდან

გაზეთ „საქმოგლოს“ რედაქციას

„საქმოგლოს“ 12 დეკემბრის ნომერში მოთავსებული წერილის („ვინ იყო თავადი წერეთელი“) გამო, მაქვს პატივი მოგაწოდოთ შემდეგი ცნობები:

ალექსი წერეთელი იყო ჩვენი ძვირფასი აკაკი წერეთლის შვილი. მოგეხსენებათ, აკაკი წერეთლის ცოლი ულამაზესი რუსის ქალი იყო. არ მახსოვს რომელ ხანაში, ისინი განცალკევებულნი ცხოვრობდნენ: აკაკი საქართველოში და მისი მეუღლე კი რუსეთში, სადაც აღიზარდა ალექსი. მისი მოღვაწეობა რუსულ საოპერო თეატრალურ დარგში მეტად თვალსაჩინო იყო. მას დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. მისი ანტრეპრიზით გარდა პეტერბურგისა და მოსკოვისა, ტარდებოდა სეზონები თითქმის ყველა ქალაქებში. ერთ წელიწადს, თუ არ ვცდები 1902-ში, როდესაც ტბილისის საოპერო თეატრი დახურული იყო („რემონტის“ გამო), ალექსიმ ანტრეპრიზა მოაწყო მაშინდელ ქართულ თეატრში სახალხოს ქუჩაზე. პირველი ტენორის გვარი იყო ბონაჩიჩი. აკაკიმ „რეკლამისათვის“ ლექსი დაწერა. მახსოვს მხოლოდ ორი სტრიქონი:

„გვეხვეწება გოგო-ბიჭი
ჩვენც გვაჩვენით ბონაჩიჩი“...

საფრანგეთში მას მეტად დიდი ღვაწლი მოუძღვის რუსული მუსიკალური პროპაგანდის საქმეში. მისი წყალობით და ხელმძღვანელობით შესდგა საოპერო დასი და „შანზელიზეს“ თეატრში რუსულ საოპერო სეზონს რამდენიმე წელიწადი უხელმძღვანელა. დადგა „Prince Igor“-ი, „პიკის ქალი“, „ევგენი ონეგინი“, და სხვა რუსული ოპერები. განზრახული ჰქონდა ზაჭარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ დადგმაც. შევადგინეთ კიდევაც დამხმარე კომიტეტი და ვთხოვეთ ზაჭარიას „პარტიტურა“. მისგან მივიღეთ პასუხი — მე თითონ ვაპირებ ჩამოსვლას პარიზში და საჭირო მასალებს ჩამოგიტანთო. ჩვენი განზრახვა ვერ განხორციელეთ ზაჭარია ფალიაშვილის გარდაცვალების გამო. თითონ ალექსი წერეთელიც მეტად დაღლილი და დასუსტებული იყო და მეტად შეწუხებული მისი დედის გარდაცვალების გამო. მალე თვითონაც გარდაიცვალა. დაკრძალულია St. Quen-ის სასაფლაოზე მისი დედის აკლდამაში, დაკრძალვას მთელი ქართველობა და რუსული ემიგრაცია დაესწრო. მისი ოპერების საუცხოო ტანსაცმლები უანდერძა ტბილისის საოპერო თეატრს. მაგრამ ანდერძის შემსრულებელმა ვერ მოახერხა მისი სურვილის განხორციელება უეცარი გარდაცვალების გამო. შემდეგ ტანსაცმლები და სამკაულები რუსების (მათი თხოვნით) კოლონიის საოპერო კომიტეტს გადაეცა.

პატივისცემით

იოსებ გოგოლაშვილი.

პარიზი, 15 იანვარი, 1970 წელი

მინაწერი: ვაპირებთ ბ-ნ შალვა ნუცუბიძის მონოგრაფიის გადათარგმნას; მოგვმოვება რუსულ ენაზე. არ ვიცი თუ ქართული დედანი არსებობს. თუ ბ-ნ შალვას, რაიმე საწინააღმდეგო აქვს, გთხოვთ გვაცნობოთ.

ი. გ.

რედაქციისაგან

რედაქცია მადლობას უძღვნის ბატონ იოსებ გოგოლაშვილს, რომელიც დაგვეხმარა ალექსი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რამდენიმე მონაკვეთის გაშუქებაში. განსაკუთრებით სასიხარულოა პარიზში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა განზრახვა, თარგმნონ შესანიშნავი მეცნიერის შალვა ნუცუბიძის მონოგრაფია (ოღონდ სჯობიროა ვრცლოდეთ, კონკრეტულად რომელ შრომაზეა ლაპარაკი, რომ შევძლოთ მისი პარიზში გაგზავნა).

სამწუხაროდ, როგორც წერილიდან ჩანს, ბატონმა იოსებმა (და შეიძლება სხვებმაც) არ იცის, რომ დიდი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე შარშან, 1969 წლის 6 იანვარს გარდაიცვალა.

პროფესორ შალვა ნუცუბიძის გახსენებასთან დაკავშირებით გთავაზობთ წერილს, რომელშიც მოკლედ არის მოთხრობილი დიდი მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა.

„ვისრამიანის“ ახალი სიცოცხლე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს ალექსანდრე გვახარიასა და მაგალი თოდუას 10 წლის დაძაბული და სერიოზული მუშაობა დასჭირდათ იმისათვის, რომ მოემზადებინათ XI საუკუნის სპარსული ლიტერატურის კლასიკოსის ფახრ ად-დინ გორგანის პოემის „ვის ო რამინის“ ქართული თარგმანის — „ვისრამიანის“ სრული აკადემიური გამოცემა.

წრფომა მოიცავს ყველა ქართული ხელნაწერის მიხედვით დადგენილ ტექსტს ვარიანტების დართვით, გამოკვლევასა და ლექსიკონს.

ქართული ტექსტის დადგენისას გამოიყენეს სპარსული ორიგინალიც. ამის შედეგად გასწორდა ბევრი ბუნდოვანი თუ გადამწერთა მიერ შებღალული ადგილი ქართულში.

ჯერ ერთხელ დადასტურდა, რომ XII საუკუნეში შესრულებული ბრწყინვალე ქართული თარგმანი ზუსტად მისდევს სპარსულ ტექსტს და ამდენად ხერხდება სპარსულის მიხედვით ქართულის დადგენა და პირიქითაც. სრულად გამოვლინდა ყველა ის მასალა რასაც ქართული ტექსტი იძლევა სპარსულის დასადგენად.

როგორც ცნობილია, ჩვენამდე არ მოუღწევია სპარსული „ვის ო რამინის“ ძველ ნუსხებს. არსებობს მხოლოდ მოგვიანო ხანის რამდენიმე ხელნაწერი. სპარსული ტექსტი რამდენჯერმე იყო გამოცემული ვარიანტების გარეშე, მხოლოდ ერთი ხელნაწერის მიხედვით.

ქართული ტექსტის დადგენის შემდეგ ქართველი მეცნიერები შეუდგნენ სპარსული ტექსტის აკადემიური გამოცემის მომზადებას. ამ შემთხვევაშიც გამოიყენეს ჩვენამდე მოღწეული ჯერაც ხელუხლებელი ყველა სპარსული ხელნაწერი, ყველა სპარსული გამოცემა და ქართული ტექსტის მონაცემები. მომზადდა კრიტიკული „ვის ო რამინის“ ტექსტი არა მარტო სპარსული ვარიანტების დართვით, არამედ ქართული ვარიანტების ყველა სხვაობის აღნიშვნითა და გათვალისწინებით. სპარსული ორიგინალის მრავალი ადგილი გასწორდა და დაზუსტდა.

სპარსულ ტექსტს ქართველ მეცნიერებთან ერთად რედაქცია გაუკეთა ცნობილმა ჯაჯიგმა მკვლევარმა ჭამალ აინიმ. შრომას ერთვის აკადემიკოს გიორგი წერეთლის წინასიტყვაობა.

ირანის საკვლევი ფონდის გენერალურმა მდივანმა, ცნობილმა მეცნიერმა ხანლარიმ, რომელმაც შრომას გაეცნო, ავტორებს შესთავაზა ამ ლიტერატურული ძეგლის ერთობლივი გამოცემა. პოემა ამჟამად თეირანში იბეჭდება.



გარდაიცვალა

ქალვა ნუცუბიძე ქართველ მეცნიერთა იმ შესანიშნავ პლეადას ეკუთვნოდა, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტისა და ახალი ქართული ფილოსოფიური მეცნიერების დაფუძნება. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა 60 წელს გრძელდებოდა და არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

დაიბადა 1888 წელს სოფელ ფარცხანაყანევში (ქუთაისის მახლობლად) სახალხო მასწავლებლის ისაკ ნუცუბიძის ოჯახში. შალვა ჯერ ხონის დაწყებით სკოლაში, ხოლო შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა.

პეტროგრადის უნივერსიტეტში (1906-1910 წლები) განსაკუთრებული ნიჭის წყალობით მალე მიიპყრო ფილოსოფიის პროფესორთა ყურადღება. ახალგაზრდა შალვა რამდენჯერმე მიავლინეს ევროპაში იქაური ფილოსოფიური სკოლების ახლო გასაცნობად. ლაიფციგში იგი მუშაობდა ცნობილი ფილოსოფოსების — ვუნდტის, ფოლკელტისა და ბარტის ხელმძღვანელობით.

1917 წელს შალვა ჩამოდის თბილისში და აქტიურად მონაწილეობს ქართული უნივერსიტეტის შექმნაში. სხვადასხვა დროს და ზოგჯერ ერთდროულად იგი ასრულებს პრორექტორის, დეკანის, ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორის, კათედრის გამგისა და სხვა მოვალეობას. ლექციებში, რომელსაც ის სხვადასხვა ფაკულტეტზე და მეცნიერების მრავალ დარგში კითხულობდა, ვლინდება შალვა ნუცუბიძის ბრწყინვალე ტალანტი, ფართო ერუდიცია და არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭი.

ფილოსოფიური სემინარები, რომლებსაც შალვა ხელმძღვანელობდა, გადაიქცა ფილოსოფიური აზროვნების კერად და ძველი ქართული ფილოსოფიური ტრადიციების თავისებურ აღდგენას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის განახლებულ პირობებში.

მეცნიერული მოღვაწეობის პირველ პერიოდში, რომელიც ოციანი წლების დამლევამდე გრძელდება, შალვა ნუცუბიძე მუშაობს საკუთარი ფილოსოფიური ნააზრევის ჩამოსაყალიბებლად, რომლის ძირითადი ამოცანაა დასავლეთის ფილოსოფიური აზროვნების წინაშე მდგარი სიძნელეების დაძლევა და ახალი, თავისებური გზების დასახვა იმ დროის აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად.

შალვა ნუცუბიძის შრომებს (Wahrheit und Erkenntnisstruktur. Erste Einleitung in den Aletheiologischen Realismus. Berlin und Leipzig, 1926. 256ს. და Philosophie und Weisheit. Spezielle Einleitung in die Aletheiologie. Berlin und Königsberg, 1931, 220ს), რომლებიც გერმანიაში გამოქვეყნდა, ფართოდ გამოეხმაურა გერმანული, ფრანგული, ინგლისური და შვეიცარული პრესა. რეცენზიებში ნათქვამი იყო, რომ შალვა ნუცუბიძის ნაშრომებს ჯერჯერობით ვერც აუვლის ვერც ერთი მოაზროვნე, რომელიც ამიერიდან თანამედროვე ფილოსოფიის კარდინალურ პრობლემებზე იმუშავებს; ხაზგასმული იყო დაყენებული პრობლემების აქტუალობა, ავტორის აზრის სიმახვილე და სხვა.

შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის მეორე მნიშვნელოვანი მხარეა ქართული ფილოსოფიური აზროვნების მეცნიერული დამუშავება. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ქართული ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების ფუძემდებელი. ნუცუბიძე აყენებს აღმოსავლეთის რენესანსის თეორიას, რომელიც ასაბუთებს დასავლეთის კულტურის აღმოსავლურ ძირებს და იძლევა „ევროპოცენტრიზმის“ კრიტიკას.

ქართული კულტურის, ფილოსოფიური აზროვნებისა და, კერძოდ, რუსთაველის მსოფლმხედველობის შესწავლამ შალვა ნუცუბიძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ XI-XII საუკუნეების ქართული კულტურა წარმოადგენს რენესანსულ მოვლენას. ამ გარემოებამ ფრიად გააფართოვა მისი კვლევის არე და შალვა ნუცუბიძის წინაშე წამოიჭრა აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემა.

აღმოსავლეთის რენესანსის თეორიაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება ევრეთ წოდებულ არეოპაგიტულ მოძღვრებას და მის ისტორიულ მნიშვნელობას. ამ სფეროში მუშაობისას დადგა არეოპაგიტული თხზულებების ნამდვილი ავტორის გარკვევის საკითხიც, რაც მანამდე დასავლეთისა და რევოლუციამდელი რუსული მეცნიერების ინტენსიური ყურადღების საგანი იყო.

1924 წელს შალვა ნუცუბიძე აქვეყნებს გამოკვლევას, რომელშიც არეოპაგიტული მოძღვრების ანალიზისა და პეტრე იბერის შესახებ არსებული ცნობების შესწავლის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ არეოპაგიტული თხზულებების ავტორი V საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი უნდა იყოსო. ამ გამოკვლევამ მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა პეტრე იბერის მოღვაწეობაში და ახლებურად დააყენა არეოპაგიტული თხზულებების ავტორობის საკითხიც.

ათი წლის შემდეგ შალვა ნუცუბიძის მიერ გაკეთებულ დასკვნამდე დამოუკიდებლად მივიდა ცნობილი ბელგიელი მეცნიერი ჰონიგმანი. შემდგომში ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიამ ფართო გამოხმაურება პოვა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთში, მათ მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა დაუჭირა მხარი.

ძალზე დიდია შალვა ნუცუბიძის დამსახურება რუსთველოლოგიაში. იგი ათეული წლების მანძილზე იცავდა დებულებას, რომ შოთა რუსთაველის ფილოსოფიური მოსოფმხედველობა ნეოპლატონური და არეოპაგიტული წარმომავლობისაა, და ამასთანავე ნეოპლატონიზმი და აეროპაგიტიკა შეიცავენ პროგრესულ იდეებს, რაც ბრწყინვალედ აისახა „ვეფხისტყაოსანში“.

რუსთაველის შემოქმედებაზე ხანგრძლივმა მუშაობამ გამოავლინა შალვა ნუცუბიძის ნიჭის მრავალმხრიობა. მაღალპოეტურია მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი, რომელმაც მკითხველის, ქართველი და რუსი მეცნიერების ფართო აღიარება მოიპოვა.

სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ქართული კულტურის ისტორიის საკითხებთან. მას მრავალი საკითხი აინტერესებდა. დიდი ერუდიცია და კვლევის მაღალი უნარი საშუალებას აძლევდა საკუთარი აზრი გამოეთქვა ყველა საკითხზე. განსაკუთრებით საინტერესოა მისი მონაწილეობა დისკუსიებში, როდესაც საკითხი მსოფლიო მეცნიერების ყურადღების არეში ხვდებოდა. შალვა ნუცუბიძეს ახასიათებდა ჭეშმარიტების მიგნების განსაკუთრებული უნარი. მისი მახვილი გონება ამჩნევდა ფაქტებს, რომელთა ამოკითხვისათვის სხვა შემთხვევაში შეიძლება ხანგრძლივი და სკრუპულოზური შრომა იყო საჭირო.

მეცნიერისა და შემოქმედის დიდი ნიჭი შალვა ნუცუბიძის პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულთან და ოპტიპიზმთან, მოქმედებისა და ძიების ჩაუქრობელ ენთუზიაზმთან.

აი ასეთი ადამიანი დაგვაკლდა ერთი წლის წინათ.

ღრმა კვალი, რომელიც მან დატოვა, წარუშლელი დარჩება ქართულ საბჭოთა მეცნიერებაში.

თაობები შეინახავენ შალვა ნუცუბიძის ხსოვნას, რომელმაც სამუდამო განსასვენებელი პოვა მეცნიერების დიდი ტაძრის ეზოში, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლების — ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილისა და კორნელი კეკელიძის საფლავთა გვერდით.

შალვა ხიდაშელი,
პროფესორი.

პოეტის სახელოგისა

საქართველოს მშრომელები საოთუთად ინახავენ გამოჩენილი პოეტის გიორგი ლეონიძის ხსოვნას. ამას წინათ ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის სახელი.

დრამაჯურგის მოგონება

21 თებერვალს საქართველოს მწერალთა კავშირმა და თეატრალურმა საზოგადოებამ გამართეს ქართველი დრამატურგის ზურაბ ანტონოვის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბესო ჟღენტმა.

ზურაბ ანტონოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მისი შემოქმედების მნიშვნელობაზე ილაპარაკეს პროფესორებმა დიმიტრი ჯანელიძემ და დავით გამცარდაშვილმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

მოქრება

გაიგზავნება პარიზში

მიმიზდველი, ელეგანტური — ასე იცნობენ გათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის ნაწარმს. ფაბრიკის მემოდელეები ფეხსაცმლის შესაქმნელად ყოველთვის მდიდარ შემოქმედებით ფანტაზიას იჩენენ.


გათუმელთა ნახელავმა არაერთი აღიარება მოიპოვა საკავშირო თუ საერთაშორისო გამოფენებზე.

წლეულს, როგორც ცნობილია, პარიზში გაიმართება საერთაშორისო გამოფენა „ფეხსაცმელი-70“. ამ გამოფენაზე გათუმიდან საფრანგეთის დედაქალაქში 85 მოდელი გაიგზავნება.

ჩუქურთმები ქვაზე, ხეზე...

„ოქროსხელიანი ხელოსანი“ — ასე იცნობენ ტყიბულის რაიონის სოფელ ნაბოსლევის მკვიდრს კონდრატე ხუჯაძეს, რომელსაც ამ დღეებში სოფლმა დაბადების 80 წელი მიულოცა.

ეს ჭარმაგი მოხუცი ხუროთმოძღვრების მრავალი ნიმუშის ავტორია. იგი გემოვნებით კვეთს ქართულ ჩუქურთმებს ქვასა და ხეზე. ტყიბულისა და მეზობელი რაიონების ბევრი წყაროს თუ ბუხრის მოჩუქურთმებული თაღი, ჭიშკარი, სვეტის ძირები თუ საწნახელი კონდრატე ხუჯაძის ნახელავია.



თბილისი. 300 არაგველის ძეგლი.

ბონდო დადვაძის ფოტო.

ქვეყნის უდიდეს გამოფენაზე

როგორ არის წარმოდგენილი საქართველო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე? რა შეფასებას იმსახურებს ექსპონატები, რომლებიც ასე დიდ სამსჯავროზე გამოიტანეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა? ამ კითხვებზე პასუხის მოსმენა ყველასათვის საინტერესო იქნება, მით უმეტეს, თუ მოპასუხე ისეთი ავტორიტეტული პიროვნება გახლავთ, როგორიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორი ალექსანდრე ივანოვია.

— საქართველოს მშრომელთა მიღწევები როგორც სახალხო მეურნეობაში, ისე მეცნიერებასა და ტექნიკაში, ფართოდ არის წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე — ასე დაიწყო თავისი საუბარი ალექსანდრე ივანოვმა, რომელიც ამ დღეებში სტუმრად იმყოფებოდა თბილისში. ძნელია ყოველივე იმის ჩამოთვლა, რითაც მდიდარია თქვენი მზიური ხეხარე. ეს გახლავთ მანგანუმი და ქვანახშირი, ჩაი და ტყე, ციტრუსი და ვენახი...

განსაკუთრებით ბევრი ექსპონატით არის წარმოდგენილი საქართველო პავილიონ „ცენტრალურში“. აქვე ხდება კინოფილმების ჩვენება, სადაც მნახველები თქვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს, მეცნიერებს, მრეწველობის დღევანდელ დღესა თუ კულტურას ეცნობიან.

პავილიონ „მეტალურგიის“ მუდმივი ექსპონატია რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. 1966 წელს, პირველად მთელ საბჭოთა კავშირში, ქარხანაში მწყობრში ჩადგა რადიალური ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ორნაკადიანი სამრეწველო დანადგარი. ეს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვაა. რუსთაველთა დანადგარის მოდელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ათასობით სპეციალისტის ყურადღებას იპყრობს.

გამოფენაზე ძალიან კარგად არის წარმოდგენილი რესპუბლიკის მანქანათმშენებლობა. ქართულ ჩარხებსა და დაზგებს საზღვარგარეთაც კარგად იცნობენ.

პავილიონის „სსრ კავშირის ელექტრიფიკაციის“ დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს ენგურჰესის გრანდიოზული მშენებლობის მაკეტები, პროექტები და ფოტოსურათები.

როგორც ცნობილია, საქართველოს ერთ-ერთი სიმდიდრე ჩაი გახლავთ. და არაფერია იმაში გასაკვირი, რომ სწორედ ოქვენში შეიქმნა მსოფლიოში პირველი ჩაისსაკრეფი მანქანა. ძნელია გადმოგცეთ ის აღტაცება, რომელსაც მნახველებში ნაისსაკრეფი მანქანა „საქართველო“ იწვევს. პავილიონის დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან მეცნიერთა პორტრეტებთან, რომლებმაც ეს საოცარი მანქანა შექმნეს.

ძალზე ბევრი ექსპონატია წარმოდგენილი საქართველოდან განყოფილებაში „სუბტროპიკული კულტურები“. ჩვენი ციტრუსების განუმეორებელი არომატი, მათი ოქროსფერი ნაყოფის ელვარება მნახველებს განსაკუთრებით ზამთარში იზიდავს.

რა თქმა უნდა, ყოველივე იმის ჩამოთვლა, რითაც საქართველო ქვეყნის ყველაზე დიდ გამოფენაზეა წარმოდგენილი, ძალზე ძნელია. ვიტყვი მხოლოდ ეროს: ჩვენთან, როგორც წესი, ექსპონატები 3-4 თვეში იცვლება. მაგრამ ექსპონატებია უმეტესობა, რომლებიც საქართველოს მიერ არის წარმოდგენილი, თავისი მნიშვნელობის გამო გამოფენის ხანგრძლივი „ბინადარია“.

ახლა ჩვენთან დიდი სამზადისია, სპეციალური გამოფენა, რომელიც ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება, 5 აპრილს გაიხსნება. საორგანიზაციო კომიტეტები დიდი გულისყურით არჩევენ ექსპონატებს. წინასწარ შეიძლება გითხრათ, რომ განსაკუთრებით საინტერესო გამოვა პავილიონი „ატომური ენერგია“. აქ წარმოდგენილი იქნება თერმობირთვული დანადგარი „ციკლონი“, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს. დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ გაეცნონ თბილისის სტაბილური იზოტოპების ქარხნის კოლექტივის მიღწევას, სადაც ატომს ადამიანის საკეთილდღეოდ ამუშავებენ.

საქართველოს მონაწილეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე არაერთხელ აღნიშნულა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით. დარწმუნებით შეიძლია გითხრათ, რომ მიღებული ჯილდოების რაოდენობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამის გარანტიაა ქართველი კაცის შრომისმოყვარეობა, ნათელი გონება და ბუნებით მომადლებული ნიჭი.

შენ გიგალობ, პატარავ...

ნოდარ შამანაძე

სულ ახლახან გამოვიდა პოეტ ნოდარ შამანაძის ლექსების კრებული „შორენას სიმღერა“, რომელმაც ძალიან გაახარა თქვენი თანატოლი კუდრაჭები. ვის არ შეხვდებით ამ წიგნში — ყოყლოჩინა მამლაყინწას, ცუნცულა მელიას, ღაგუა წიწილას, ფუსფუსა ფისუნიას. გაიგეთ, თაგუნა რომ ავად გახდა და ფისუნია სანახავად ეწვია? არც ის იცით, გულადმა გიამ როგორ გადაარჩინა წიწილები? ღორმუცელა გაჭიას ამბავი თუ გაგიგიათ? პრა? კოდა, წაიკითხეთ ნოდარ შამანაძის ეს წიგნი, დამეწყვნეთ, ძალიან მოგეწონებათ, გვერსაც იცინებთ.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით ნახატები გაგახარებთ, რომლიც მხატვრებს — ოთარ ჩხარტიშვილსა და ედვარდ ამბოკაძეს ეკუთვნით.

წიგნი გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა, მომავალში იგი კიდევ გვერ კარგ წიგნს გვპირდება.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ წიგნიდან.

შორენას სიმღერა

შინა ვარ თუ ველად,
შემომღიმის ყველა.
გადავირბენ ბაღჩაში,
ჩიტი მხვდება ფრთაგაშლით.
გადავივლი ბაღში,
თვალს ჩამიკრავს ვაშლი.
გავუყვები ტყის პირსა,
წყარო მხვდება კისკისა.
მზეც მიცინის თითქოს,
უხვად მაწვდის სითბოს.
გავიზრდები ასე,
სიყვარულით სავსე.

თაგუნა გახდა ავადა

თაგუნა გახდა ავადა,
თურმე ლოგინად ჩავარდა,
ეს რომ ფისუნამ გაიგო,
წავიდა სანახავადა,
თხილი და წაბლი წაუღო,
უყვარსო საცუცნავადა;
რომ დაინახა თაგუნამ,
კინაღამ სული გავარდა, —
შენ გამიჩინე ჭირიო,
შენ გამხადეო ავადა.
ეგ შენი თხილი შენ გქონდეს,
არ მსურსო საცუცნავადა.
ეგ შენი წაბლიც შენ გქონდეს
აღარ მიღირსო ჩალადა.
ფისო აკნავლდა, ატირდა,
დარდით ავარდა, დავარდა,
ახლაც სოროსთან ქვითინებს,
ცრემლი ჩამოსდის ღვარადა.

რასა ნატრობ?

— რასა ხედავ?
— ცასა ღრუბსა.
— რასა ნატრობ?
— მხატვრის შენსა.
— რას დახატავ?
— მთას და მდელოს,
გაუმარჯოს
საქართველოს!

იწილო, ბიწილო

იწილო, ბიწილო,
პანაწინა წიწილო,
თავი არ გეტკინება,
სულ რომ ასე იწივლო?

შენ გიგალობ, პატარავ...

პატარა მეგობარო!

საქართველოს სახალხო მხატვარს ელენე ახვლედიანს ძალზე უყვარს პატარები. სწორედ ამის გამო მოაწყო თავის სახელოსნოში ბავშვთა ნახატების გამოფენა, შეარჩია 50-მდე ნორჩი მხატვრის ნამუშევარი და სახელოსნოს ფართო კედლები შენი თანატოლების ნახატებით დაფარა.

მოსაწვევი ბარათები თვითონ დახატეს და უფროსები მოიწვიეს. ერთ თვეს გასტანა გამოფენამ და დამთვალიერებელი არ მოჰკლებია. უნდა გითხრა, რომ ყველაზე მეტად თვითონ მხატვრები დაინტერესდნენ ამ გამოფენით. საათობით არ ტოვებდნენ სახელოსნოს, მსჯელობდნენ თითოეულ ნახატზე, ეკითხებოდნენ პატარა ხელოვანებს. გამოფენის მონაწილენი სხვადასხვანაირად იძლეოდნენ „ინტერვიუს“. ზოგი მორცხვად, ზოგიც ხალისით:

— რატომ დამხატე წითელთმიანი? — ჰკითხა ქალბატონმა ელენემ პატარა ნინოს.

— იმიტომ, რომ ასე უფრო ლამაზი ხართ, — იყო პასუხი.

— რატომ დახატე გატეხილი სკამები? — შეეკითხნენ ჟურნალისტები გაგას.

— იმიტომ! — განაცხადა პატარამ და ინტერვიუ დამთავრებულად ჩათვალა.

პატარა მეგობარო! ასეთი გამოფენები ელენე ახვლედიანის სახელოსნოში ტრადიციად იქცევა. სურვილი თუ გაქვს მონაწილეობა მიიღო მასში, გამოგზავნე შენი ნახატები მისამართით:

თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია. უჩვენე შენი გვარი, სახელი, ასაკი, მისამართი. ჩვენ მას ქალბატონ ელენეს გადავცემთ, ის კი სიამოვნებით გამოფენს თავის სახელოსნოში.

დღეს გთავაზობთ შენი თანატოლების რამდენიმე ნახატს.





„ფეხბურთელეგი“ 10 წლის გოგი გეგეჭკორმა დახატა. ცეკვა „ქართულის“ ავტორი მაია ფორჩხიძე კი 7 წლისაა. ბედუროგის ნიმუში 10 წლის გია თავხელიძის ნამუშევარია.



ვალოდია გაბრიჩიძე ოჯახიდან ამ ოცდაათიოდე წლის წინათ წავიდა. ერთხანს ფრონტიდან ბარათები მოდიოდა, შემდეგ კი აღარც კარგი ისმოდა და აღარც ავი. უგზო-უკვლოდ დაიკარგაო — აცნობეს ოჯახს...


გავიდა წლები. თითქოს ყველა იმედი ამოიწურა და აი, რამდენიმე თვის წინათ შორეულ ჩიკაგოდან ხმა მოვიდა — ვალოდია ცოცხალია და კარგად არისო.

ცოცხალია და წერილს კი არ იწერება, რატომღაც დუმს, ოჯახში ბარათის გამოგზავნას ერიდება. დები კი მოუთმენლად მოელიან მისი ხელით დაწერილ სტრიქონებს.



M. TSCHELIDSE
1561 HENVY AVE
DES PLAINES
60016 ILL
CHICAGO
USA

გადასაცემად ვალოდია გაბრიჩიძეს





სურათებზე: ზევით — ვალოდია გაბრიჩიძე — წითელი არმიის ჯარისკაცი; შუაში — ჩიკაგოდან გამოგზავნილი სურათი — ვალოდია გაბრიჩიძე (მარცხნიდან მეორე), მისი გოგონა, მეუღლე და ვაჟიშვილი. ზის მიშა ჭელიძე; ქვევით: მარცხნიდან — ვალოდიას უმცროსი და პაშა, უფროსი დისწული ენგელი, პაშას მეუღლე გივი, შვილები სოსო და შიო, დისწული ნარგიზი.

საყვარელო ძმაო!

არ ვიცი, რით დავიწყო, რა გითხრა. სიტყვა ვერ მიპოვია ჩემი აფორიაქებული გრძნობების გადმოსაცემად. აბა, თვითონ განსაჯე — გამოტირებული გვყავდი, მკვდარი გვეგონე და ცოცხალი აღმოჩნდი!

ამაზე დიდი ბედნიერება რა შეიძლება იყოს...

ამ რამდენიმე თვის წინათ მუხურაში შენი ჩიკაგოელი მეგობრის — მიშა ჭელიძის ძმა ასულა და ცაგუნასთვის უთქვამს: — ვალოდია ცოცხალია, ჯანმრთელად არის და ჩიკაგოში ცხოვრობსო. საცოდავი ჩვენი დაიკო სიხარულისაგან კინაღამ ჭკუაზე შეშლილა. მერე ცაგუნამ ეს ამბავი მე შემომითვალა. არც მე დამდგა კარგი დღე. სიზმარი მეგონა, ყურებს არ ვუჯერებდი. — ჩემი ბაჭუკა ცოცხალია, ცოცხალი! — ვიმეორებდი და მაინც არა მჯეროდა. ალბათ, აქ რაღაც შეცდომაა, თორემ ოცდაათი წლის მანძილზე ერთ სიტყვას მაინც როგორ ვერ მოგვაწვდიდა-მეთქი.

მას შემდეგ მოსვენება დავკარგე. დღე და ღამ შენზე ფიქრსა და ოცნებაში ვიყავი. და აი შარშან 19 ნოემბერს სიზმარი ცხადად მექცა — მიშა ჭელიძემ ჩიკაგოდან შენი და შენი ოჯახის სურათი გამოგზავნა.

მე და ჩემი მეუღლე მაშინვე გავემგზავრეთ მიშას დედასთან ვანის რაიონის სოფელ შუამთაში. ეფროსინე დეიდამ შენი კარგად ყოფნა მომილოცა და სურათი მიჩვენა, შენ და მიშა რომ ხართ გადაღებული. — აბა, რომელია შენი ძმაო, მკითხა. წუთით დავიბენი, შემეშინდა, ვაითუ ჩემი ძამიკო ვერ ვიცნო-მეთქი. სურათში პროფილითა ხართ ორივენი, ამან დამაბნია. მე ცოტა სხვანაირი მახსოვდი. არ გეწყინოს, ჩემო ბაჭუკა, ოცდაათმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ, უკანასკნელად რომ გნახე. შენი სურათი ამოვიღე, რომელსაც მუდამ თან ვატარებ, აი ის, შენ რომ ჯარიდან გამოგვიგზავნი და ახლანდელს შევადარე. გადაშლილი მკერდი ერთმანეთის ზუსტი ანაბეჭდი იყო! შუბლიც იგივე. მხოლოდ ძველ სურათში ოდნავა ხარ გამელოტებული, ახლა კი როგორ გაგცვენია, ბიჭო, თმა! თუმცა ვერც ამ სურათმა დამარწმუნა საბოლოოდ. შემდეგ დეიდა ეფროსინემ მეორე სურათი მიჩვენა, ცოლ-შვილთან ერთად გადაღებული. ეს უკვე შენა ხარ, შენ! მე ვიცანი შენი მოცინარი თვალები, ცხვირი, ტუჩები, შეჩვენილი ნიკაპი... მეტს ვეღარ გავუძელი, თვალთ დამებნელდა. გონს რომ მოვედი, ჩემი მეუღლის ცრემლიანი თვალები დავინახე. ისიც ტიროდა, მასაც ისე შესტკივა გული შენზე, როგორც მე...

ასე გავიგე, რომ ცოცხალი ხარ, რომ სუნთქავ, არსებობ, მართალია, ძალიან შორს, მაგრამ მაინც არსებობ. ჰოდა, რა დამამშვიდებს? ჩიკაგო დიდია. მე კი შენი მისამართი არ ვიცი. სად გიპოვო, როგორ მოვძებნო; მიშა ჭელიძეს გავუგზავნე შენთვის გადმოსაცემად ბარათი, შემდეგ დეპეშაც გამოვგზავნე, პასუხი ჯერაც არ მიმიღია. კვლავ დავწერე წერილი, მაგრამ ვიფიქრე, შეიძლება ესეც უპასუხოდ დარჩეს-მეთქი და გაზეთ „საშობლოს“ რედაქციაში შევიარე. იქნებ ამ გაზეთს იღებ, ჯითხულობ, იქნებ მისი საშუალებით მაინც მოგვაწვდინო ხმა.

ვიცი, ჩვენების ამბავი გაინტერესებს. რაღა დავიმალო, დედა და მამა აღარ არიან... შენს დარდს გადაჰყვნენ. დედა ისე მოკვდა, შენი სიკვდილი არ დაუჯერებია, სულ მოგელოდა... ხედავ, ჩემო ბაჭუკა, დედის გული თურმე არა ტყუოდა! მოსწრებოდა მაინც ამ დღეს...

მე უნივერსიტეტი დავამთავრე, ვცხოვრობ თბილისში, ვმუშაობ უფროს ეკონომისტად, მყავს მეუღლე და ორი ვაჟი. უფროსი სოსო 12 წლისაა, უმცროსი შიო — ხუთისა გახდება მაისში. ჩვენს უფროს დას ცაგუნას (ნინოს) შესანიშნავი მეუღლე და ოთხი შვილი ჰყავს — სამი ქალი და ერთი ვაჟი. ცაგუნა და მისი მეუღლე ჩვენს სოფელში, ტყიბულის რაიონში, მუხურაში ცხოვრობენ, უფროსი გოგონები თბილისში სწავლობენ.

ბიჭო, ბაჭუკა, ცოლ-შვილს მოჰკიდებიხარ. ეს რა კარგი გოგო-ბიჭი გყოლია! შენი მეუღლეც ძალიან მომეწონა. ვიცოდე მაინც, რა ჰქვიათ, რომ მათ სახელებს მაინც მივმსიყვარულო...

ჩემო ძვირფასო ძმაო, 30 წლის დაკარგულო და ისევ ნაპოვნო, მკვდრეთით აღმდგარო ჩემო ბაჭუკა! გამომიგზავნე შენი ხელით დაწერილი ბარათი. მე ვიცნობ შენს ნაწერს, მე გელოდები შენს სიტყვას, სურათებს, როგორც სიცოცხლეს.

წერილი შემდეგი მისამართით მომწერე: თბილისი, საირმის ქუჩა № 37, IV კორპუსი, I სადარბაზო, ბინა № 7, ძაშა გაბრიჩიძეს.

მომიკითხე ჩემი რძალი და ძმისწულები. უთხარი, რომ ოცნებად გადმექცა მათი ნახვა, უთხარი, ახლობლების რა სიყვარული ვიცით ქართველებმა. გულით მოგიკითხავს ჩვენებმა. გკოცნი ბევრს, ჩემო სანატრელო ძმაო.

შენი უმცროსი და პაშა გაბრიჩიძე.

თბილისი.
25. II. 70.

ქრონიკა

გაზაფხული, სიმღერისა და სიხარულის, ყვავილების, სიყვარულის თვე...

გაზაფხული — საზეიმო თარიღებით მდიდარი და დამშვენებული.

რას გვპირდება ჩვენი ქართული კალენდარი გაზაფხულის ამ პირველ თვეს?

● ყველაზე დიდ ზეიმს, რა თქმა უნდა, რვა მარტს გადავიხდით. ჩვენი ქალებთან ერთად მსოფლიოს ყველა ქალს მივულოცავთ საერთაშორისო დღეს და კიდევ ერთხელ ვიტყვით მათი დიდების სადღეგრძელოს.

● 10 მარტს კი ჩვენს შესანიშნავ მწერალს ლევან გოთუას დაბადების 65 წლისთავს მივულოცავთ.

● გაზაფხულის პირველ თვეს კიდევ ერთი დიდი იუბილარი ჰყავს. 11 მარტს დაბადების საოცი წელი უსრულდება სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს ვახტანგ ჭაბუკიანს.

● მეტრის ტყვიას რომ ეცალა, 12 მარტს დაბადებიდან 75 წლისთავს ჩვენთან ერთად იზეიმებდა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვასილ კიკვიძე.

● რა თქმა უნდა, ქართველი ხალხი, მსოფლიოს მოწინავე საცობრიობასთან ერთად, 19 მარტს აღნიშნავს პარიზის კომუნის დღეს.

● 27 მარტს კი ცნობილი ოსტატები თეატრის საერთაშორისო დღეს იზეიმებენ.

ასეთია ქართული კალენდრის იმ თვის ზოგადი მიმოხილვა, ჩვენთვის გაზაფხულის მახარობლად რომ მოდის.

ბაღი — სიცოცხლეა

ზღვის დონიდან 175 მეტრის სიმაღლეზე აზიდულა მწვანით დაბურული კონცხი, ზღვა დაუთრგუნავს და ზღუდე დაუდია ტალღებისათვის.

მწვანე კონცხი.... ბათუმის ბოტანიკური ბაღი-ზღაპარი...

ხუთი ათასზე მეტი ჯიშის ხე და ბუჩქი აფრქვევს აქ სურნელებას, ყვავის და ნაყოფს ისხამს.

თვალი ვერ ძღება განუმეორებელი სილამაზით, დაბურული ხეივნებიც ცქერით. კინემატოგრაფიული კადრებივით იცვლება პეიზაჟი: იაპონიისა და ჩინეთის განყოფილებებს ახალი ზელანდიისა და ჰიმალაის, მექსიკისა და ხმელთაშუა ზღვის განყოფილებები ცვლის... მსოფლიოს ყველა კუთხის სუბტროპიკულ ფლორას მოუყრია აქ თავი და ედემის ბაღად უქცევია ეს მადლიანი მიწა.

მექსიკურ განყოფილებაში მნახველის ყურადღებას იქცევს მთელ ბაღში ერთადერთი საფლავი, რომლის ქვაზეც ქართულ და რუსულ ენებზე ამოკვეთილია: „ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი, პროფესორი ანდრია ნიკოლოზის ძე კრასოვი, 1862-1915 წლები“.

ბუნების ეს შესანიშნავი მისაიუმლე მთელი სიცოცხლით დაკავშირებული იყო საქართველოსთან. ადრე იგი ბევრს მოგზაურობდა. იყო ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში, იავაზე, ცეილონზე, იაპონიაში, ჩინეთსა და იაპონიაში. იკვლევდა სახალხო მეურნეობას.

მაშინდელი რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ეძებდა სუბტროპიკული ქვეყნების მსგავს რაიონებს და აი ასეთი რაიონი მან კოლხეთში, ქედან ბათუმის მიდამოებში აღმოაჩინა.

ამ კუთხის დიდი მოამაგის შესახებ ანდრია კრასნოვი წერდა: „25 წელიწადიც არ გაივლის, რომ ეს მხარე იქცევა რივიერად და ტროპიკების ილუზიას ჩრდილოელი მკვიდრი ალუქრში კი არა, აქ მოძებნის. თუ მკითხველს არა სჯერა ჩემი, დაე შეინახოს ეს ფურცელი და მეოთხედი საუკუნის შემდეგ შეადაროს სინამდვილეს“.

ანდრია კრასნოვის ეს სიტყვები აღსრულდა. ჩინურმა, იაპონურმა, ახალზელანდიურმა და სხვა სუბტროპიკულმა ფლორამ კოლხეთში, ამ მადლიან, დალოცვილ ქვეყანაში „მეორე სამშობლო“ პოვა.


აქ ყოველი ხე ზღაპრულია. აი ცაში, ღრუბლებში აჭრილა ჩილური არაუკარია. მისი წიწვი ისე იჩხვლიტება, ჩიტებიც კი ვერ ბედავენ მასზე დასხდომას. ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ აქ შეიძლება ნახოთ ავსტრალიური არაუკარიაც, რომლის მერქნის სიმაგრეს სპილოს ძვალს ადარებენ. ორმოც მეტრზე მაღლა წასულა სეკვოია, — იგი 57 წლისაა, რაც მისთვის ყრმობის ასაკია. ეს გოლიათები ხშირად ოთხი ათას წლამდე ცოცხლობენ და სიმაღლითაც ხეოსების პირამიდას სჯარბობენ.

აქ 70-ზე მეტი ჯიშის ეკალიპტია. ძაერი გაფენთილია ყვავილების სამო სურნელით: გაშლილან აკაციები, ჰიმალაის ალუბალზე ზოგან ვარდისფერი ყვავილია, ზოგან უკვე ნაყოფის ბუტკოები მოჩანს. მწვანე ტოტებიდან, თითქოს დილამ ინათაო, ელვარებენ კამელიის კორები, ნიავს მოაქვს იასამნის, შროშანას სურნელება...

ბათუმის ბოტანიკური ბაღი ულამაზესი და უმდიდრესია საბჭოთა კავშირში. სწორედ აქ მიიღო საგზური ბევრმა ახალმა მცენარემ, რომელიც ამჟამად შავი ზღვის სანაპიროებს ამშვენებს.

ზამთარ-ზაფხულ, წელიწადის ყველა დროს აქ ხალხმრავლობაა. ტურისტები და დამსვენებლები ათვალიერებენ მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის აქ თავმოყრილ ფლორას და აღფრთოვანებას ვერ მალავენ. „ბუნების საოცრებათა კუთხე“, „ბაღი-გამოცანა“, „ამჭვიანური სამოთხე“ — ისმის მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

რევაზ გორგაძე,
ბათუმი



სურათზე: ბოტანიკური ბაღი ზამთარში.
იური თავდუმაძის ფოტო.

სპორტის ცნობები

● **ევროპის** ჭვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები მეოთხედფინალიდან ჩაებნენ. მათი მეტოქე ვარშავის „პოლონია“ გახლდათ. პირველი შეხვედრა ვარშავაში „დინამომ“ საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო.

რამდენიმე დღის წინათ ეს გუნდები კვლავ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. ანგარიშით 92:82 ისევ დინამოელებმა გაიმარჯვეს.

ჩვენი მორიგი მეტოქე იქნება იტალიის გუნდი.

● **მოსკოვში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში.

ვაჟთა ერთეულების ფინალში პაექრობდნენ მოსკოველი ვიაჩესლავ კოროტკოვი და თბილისელი თეიმურაზ კაკულია. ეს გადამწყვეტი შეხვედრა მოსკოველმა სპორტსმენმა მოიგო. მანამდე კაკულიამ ნახევარფინალში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი ლეონსი.

შერეულ წყვილთა შორის ოლგა მოროზოვამ და ალექსანდრე მეტრეველმა სძლიეს ინგლისელებს — ტრუმენსა და კლიფტონს. ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს მეტრეველმა და ლიხაჩოვმა.

ცოტა უფრო ადრე კი, კიევში ზამთრის საკავშირო ტურნირზე, წარმატებით იასპარეზა ალექსანდრე მეტრეველმა. ნახევარფინალში ქართველი ჩოგბურთელი ლამპას შეხვდა და დაამარცხა, ხოლო ფინალში ლიხაჩოვს მოუგო.

კიევში თავი გამოიჩინა თეიმურაზ კაკულიამაც. შერეულ წყვილთა ასპარეზობაში მან ჩუვინასთან ერთად ყველა მეტოქე დაამარცხა და მეტად საპატიო გამარჯვება იზეიმა.

● **ვოროშილოვგრადში** რამდენსამე დღეს გრძელდებოდა საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი აყვნენ რსფსრ-ს სპორტსმენები, საქართველოს გუნდს ვერცხლის მედალი ხვდა, მესამე ადგილზე არიან მოსკოველი მოჭიდავეები.

● **სოხუმში** დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება სააფრო სპორტში. შეჯიბრებაში, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების გარდა, მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის აფროსნები — სსრ კავშირის ნაკრების წევრები.

ამ მეტად ძლიერ შემადგენლობაში ჩინებულად იბრძოდნენ ქართველი სპორტსმენები ზაურ ხუხუა და გიორგი ლაზარაშვილი, რომლებმაც შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაისაკუთრეს.

● **თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელები საერთაშორისო ამხანაგურ ასპარეზობებს მართავენ იტალიაში. ქართველმა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი 2:1 წააგეს პალერმოს გუნდთან.

● **ჰიათურაში**, „მაღაროელის“ ცენტრალური სტადიონის ზამთრის საცურავ აუზში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირველობის გათამაშება ცურვაში 1954-1955 წლებში დაბადებულ ნორჩ სპორტსმენთა შორის.

გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, მეორე იყო ბათუმის გუნდი, მესამე — ჰიათურის მოცურავეთა კოლექტივი.

● **თელავში**, ზუზუმბოს მთის მიდამოებში გაიმართა მოტოკროსი. სტარტზე გამოვიდნენ თბილისის, რუსთავის, ჟუმაისის, გარდაბნის, სამტრედიის, ზესტაფონის, გორის, სიღნაღის, წყალტუბოს, ბოლნისის, ახალციხის, სოხუმისა და თელავის 84 მოტომრბოლი. 350 კუბური სანტიმეტრის მანქანებით კროსში წარმატება ხვდა თბილისელ კლდიაშვილს. სხვა მანქანებით პაექრობაში გაიმარჯვეს გალუსტაშვილმა, კალჩენკომ და სხვებმა.

● **ფოთში** დაიწყო საქართველოს 1970 წლის პირველობა ჭადრაკში. რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენებთან ერთად ჩემპიონატში კონკურსგარეშე მონაწილეობს მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი.

სტარტზე სამ-სამი გამარჯვება იზეიმეს ბუხუტი გურგენიძემ და რომან ჯინჯიხაშვილმა.

● **თბილისის** სპორტის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა პროფკავშირთა საკავშირო პირველობის ზონალური შეხვედრები კრივში. ფინალში გასვლისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთისა და საქართველოს მოკრივეები.

ძირითადი ბრძოლა როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობაში საქართველოსა და სომხეთის მოკრივეთა შორის წარიმართა. ეს პაექრობა საქართველოს გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. ჩვენი მოკრივეები სულაკაძე, შალიკიანი და ნიკოლაძე მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა საკავშირო პირველობის გადამწყვეტ შეხვედრებში.

● **გაიმართა** ამიერკავკასიის რკინიგზელი სპორტსმენების პირად-გუნდური პირველობა სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, სამტრედიის, ერევნის ნაკრები გუნდები.

პირველი ადგილი თბილისის გუნდმა დაიკავა.

● **სპორტსაზოგადოება** „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე კი, რომელიც ცხინვალში მოეწყო, გორელმა სამბისტებმა იმარჯვეს და პირველ ადგილზე გამოვიდნენ. გორელებმა უკან ჩამოიტოვეს თბილისისა და რუსთავის მოჭიდავეები.

● **საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა საქართველოს წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის დებულება.

გათამაშების I ჯგუფში, სადაც ასპარეზობანი დაიწყება 1 მარტს, მონაწილეობას მიიღებს 23 გუნდი, რესპუბლიკის პირველობის II ჯგუფში გამოვა 30 გუნდი. II ჯგუფში შეჯიბრება 4 აპრილს დაიწყება.

სპორტის ცნობები

სპორტი

იყო ერთი კაპიტანი





სურათებზე: ავთანდილ ღოღობერიძე თამაშის დროს და მაშინ, როცა წინ მიუძღოდა თანაგუნდელებს.

ღია, იყო ერთი კაპიტანი, ქართველ ფეხბურთელთა უძლიერესი საკლუბო გუნდის, თბილისის „დინამოს“ სახელგანთქმული წინამძღოლი, მარცხენა ხელზე წითელი ნაჭრის ზოლი რომ ერტყა, თეთრ მაისურზე — № 10, ხოლო მკერდში ვაჟკაცური გული უძგერდა.

ავთანდილ ღოღობერიძეს, საამაყო ქართველ ფორვარდს, მთელ საბჭოთა კავშირში ჰქონდა გავარდნილი ბრწყინვალე დრიბლიორის, მეკარეზე რისხვისა და მატჩის დირიჟორის სახელი.

ავთანდილ ღოღობერიძე დაიბადა 1922 წელს სოხუმში. ფეხბურთის თამაში 16 წლისამ დაიწყო, 1940-41 წლებში იცავდა სოხუმის „დინამოს“ სახელს, სამამულო ომის წლებში კი — სამშობლოს წმინდათა წმინდა საზღვრებს. თბილისის „დინამოში“ 1943 წლიდან იყო. მალე სპორტის ოსტატის, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ — სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მოიხვეჭა. შედიოდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელთა რიცხვში, სსრ კავშირის ნაკრებისა და ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში. მრავალჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი და საკავშირო თასის გათამაშების ფინალისტი. მისი ცხელოვანი, ვირტუოზული თამაშით მოხიბლული მსოფლიოს მრავალი მაყურებელი ჩინეთიდან ჩილემდე. 1959 წელს საფრანგეთში თბილისის „დინამოს“ გასტროლების შემდეგ, პარიზის პრესამ ავთანდილ ღოღობერიძე ბურთის ჯადოქრად მონათლა; გავიდა რაღაც ერთი წელიწადი და უკვე ფეხბურთის სამშობლოში, ლონდონსა და ვულვერჰამპტონში აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი. გაზეთი „ტაიმსი“ წერდა: დახვეწილი და აზარტული თამაშით მარცხენა ინსაიდმა აღაგზნო როგორც თავისი თანამემამულენი, ისე ჩვენც, ინგლისელებიც. და ეს ითქვა მაშინ, როცა ავთანდილ ღოღობერიძე 38 წლისა იყო და კედელზე სამუდამოდ უნდა ჩამოეკიდა თავისი მრავალნაცადი ბუცები.

ახლა სხვაგვარი ფეხბურთია. სპორტულ სამყაროში ელავენ ისეთი სახელები, როგორიც არის პელე, ეუსებიო, ჩარლტონი, ტოსტაო... ისინი მართავენ მსოფლიოს საფეხბურთო ციებ-ცხელების სადავეებს. ისინი არიან ტყავის ბურთის კორიფეები და, რა ვუყოთ, თუ ავთანდილ ღოღობერიძის სახელს მათ გვერდით არ ახსენებენ. მას ხომ სულ სხვა დროს მოუხდა თამაში, ისევე, როგორც ოდესღაც ჩვენს ლეგენდარულ ცენტრალურ თავდამსხმელს ბორის პაიჭაძეს. მაშინ არ იყო ამდენი საერთაშორისო ტურნირი, და „არც რეკლამა აკეთებდა თავის საქმეს“.

ქართული ფეხბურთისათვის, მისი მომავლისათვის, ავთანდილ ღოღობერიძე ყოველთვის დარჩება ლეგენდარულ კაპიტნად, უპირველეს ბომბარდირად და იმ პირნათელ რაინდად, რომელმაც პატიოსნად მოიხადა თავისი ვალი ერის წინაშე და იმათ წინაშეც, ვისი პარტნიორიც და წინამძღოლიც იყო იმ ქარცეცხლიან სპორტულ ცხოვრებაში.

მიხეილ მესხი, ვლადიმერ მარღანია, ავთანდილ ჭკუასელი, სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე, ნიაზ ძიაბშპა, ვლადიმერ ელოშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ ბარქაია, ზაურ კალოევი...

მართლაც რომ ღირდა მათ გვერდით თამაში!


ამ წლის წინათ გზატკეცილზე მომხდარმა საავტომობილო კატასტროფამ ავადმყოფის სარეცელს მიაჯაჭვა ოდესღაც ცეცხლოვანი თავდამსხმელი. ამ დღეებში საშუალება მომეცა მენახა იგი. შინ იწვა — გამხდარი, პარალიზებული. თავზე თბილისის „დინამოს“ № 10 ფეხბურთელი, მისი შვილი თენგიზი ედგა. სისხლს მაინც თავისი გააქვს. ავთანდილ ღოღობერიძე კიდევ ერთ თაობას მიაწვდის თავგანწირვისა და აზარტული თამაშის ცეცხლს.

არწივებს დაუფრენიათ მართვები!

გამომშვიდობებისას ჩვენი გაზეთის მკითხველთა სახელით მადლობა გადავუხადე შესანიშნავ სპორტსმენს ერის წინაშე მისი დიდი სპორტული თავდადებისა და დამსახურებისათვის და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვე.

ძველი კაპიტნის თვალებზე ცრემლი ბრწყინავდა...

ვასილ მჭედლიშვილი







საერთაშორისოდ

ვინმეთი, დანია, რუმინეთი, უნგრეთი, გერმანია, ავსტრია, პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, ბელგია, ლუქსემბურგი, კანადა, კუბა, ვენესუელა, კოლუმბია, არგენტინა, ბოლივია, მექსიკა, შვეიცია, ნორვეგია, დანია, ინდოეთი, პაკისტანი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, საბერძნეთი, თურქეთი, კვლავ სამხრეთ ამერიკა...

მსოფლიოს ხუთივე კონტინენტმა აღიარა „დიდი ქართული ბალეტი", როგორც მერვე საოცრება...

ქართულმა ცეკვამ მოხიბლა და გააოგნა მსოფლიო.

26 თებერვალს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით მოსკოვს გაემგზავრა, ხოლო იქიდან 1 მარტს ავსტრალიისაკენ გაფრინდება...

მეხუთე კონტინენტი მეორედ მასპინძლობს ქართველ მსახიობებს, რომელთაც დიდი მისია ხვდათ წილად: 6 მარტს ქალაქ ადელაიდაში ისინი ხსნიან ცეკვის, სიმღერისა და მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს 14 ქვეყნის პროფესიონალური ანსამბლები.

საქართველოს წარგზავნილები კონცერტებს გამართავენ სიდნეიში, მელბურნში, კანბერასა და სხვა ქალაქებში, შემდეგ ახალი ზელანდიის კუნძულები... პირველად დაადგამენ ფეხს სინგაპურსა და ფილიპინებზე.

ეს უკვე სამოცდამერვედ გადიან ქართველი მოცეკვავენი ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ.

საქართველოში ივლისის შუა რიცხვებში დაბრუნდებიან.

სექტემბრისათვის თბილისში გაიმართება ანსამბლის დაარსებიდან 25 წლისთავის იუბილე.

ამავე საზეიმო თარიღისათვის გამოიცემა ქართლოს კასრაძის 650 გვერდიანი წიგნი — „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე", რომელშიც აისახება ქართული ცეკვის ანსამბლის საინტერესო, მდიდარი ბიოგრაფია.



By arrangement with
EDGLEY AND DAWE and GOSCONCERT MOSCOW
EDGLEY AND DAWE, J. C. WILLIAMSON THEATRES LTD.
and THE AUSTRALIAN ELIZABETHAN THEATRE TRUST
present

THE GEORGIAN

STATE DANCE COMPANY

65 dancers . singers . musicians

Artistic Directors:

NINA RAMISHVILI

ILIKO SUKHISHVILI

Direct from CAUCASUS, USSR





Flying **AIR INDIA**



სურათებზე: მარცხნივ — ანსამბლის სოლისტი იამზე დოლაბერიძე; მარჯვნივ — ანონსი, ავსტრალიაში წინასწარ გამოცემული პროგრამა-პროსპექტის შრაზმენტი; ქვევით — ცეკვა „სადარბაზო".



ქართული სამზარეულო

ლობიო ნიგვზით

ვადარჩეული. გარეცხილი 500 გრამი ხმელი ლობიოს მარცვალი ჩაყარეთ ქოთანში ან ქვაბში, დაასხით წყალი და მოხარშეთ ისე, რომ არ ჩაიშალოს. ხარშვისას, რომ არ ჩაშრეს, უმატეთ ადუღებული წყალი.

მოხარშულ ლობიოს ნახარში წვენი გადაუწურეთ. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2-3 კბილი ნიორი და მარილი კარგად დანაყეთ ერთად. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მიღებული მასალა ფრთხილად შეურიეთ გადაწურულ ლობიოს ისე, რომ მარცვლები არ დაიჭყლიტოს. თუ გსურთ, შეგიძლიათ დაუმატოთ ქინძი, დანაყილი წიწაკა, ღვინის ძმარი ან ბროწეულის წვენი. შემდეგ გადაიტანეთ მათლაფაზე, ზედაპირი შეუსწორეთ და მორთეთ მრგვალად დაჭრილი ხახვით, ზემოდან მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.



რადიო

მოუსმინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოჰერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოჰერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირადღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50,59 მეტრი ან 5930 კილოჰერცი.

რადიო

დაგეძებენ, მოგელიან

კონსტანტინე ლუკას ძე ხარაძეს,

დაბადებულს 1920 წელს, ეძებენ დები — **ნინა, ვერა, ქეთევან ხარაძეები,** მცხოვრებნი ოდაბა ხარაგოულში, ლენინის ქუჩა № 89.

ავთანდილ ვახტანგის ძე მელვინეთუხუცესს,

დაბადებულს 1919 წელს, ეძებენ დედა — **ელენე,** შვილი — **გივი,** ძმა — **ოთარ მელვინეთუხუცესები,** მცხოვრებნი თბილისში, პეკინის ქუჩა № 47.

აგესალომ (ქუსა) ილიას ძე ბურჯანაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ქუთაისში, ეძებენ დედა — **ვერა ივანეს ასული ბურჯანაძე** და შვილი — **ბიატრისა (ცუსუნა) ბურჯანაძე,** მცხოვრებნი ქუთაისში, ძერჟინსკის ქუჩა № 21.

აქვსენტი მარკოზის ძე ხელაძეს,

დაბადებულს 1903 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში, ეძებენ დები — **მინადორა, ქსენია, თამარა ხელაძეები,** მეუღლე — **თამარა,** შვილები — **ავთანდილ, დავით, თინა ხელაძეები.**

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188